აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
30 ივნისი, 2017 წელი

დადგენილება №45 (16/17)
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების გათვალისწინებით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა შეფასების სისტემა დამტკიცდეს თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

სტუდენტთა შეფასების სისტემა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:
საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:
სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში *(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს)* -**30 ქულა;**
შუალედური გამოცდა- 30 ქულა;
დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.
დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს **არანაკლებ 18 ქულას.**

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**
ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (**B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (**C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის **შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (**აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ).

- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული **შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15-25 ქულათა დიაპაზონით** *(სპეციფიკიდან გამომდინარე, განისაზღვრება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამით).*
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

<u>შენიშვნა:</u> შუალედური და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდები ჩატარდება ფორმალიზებული წესით:
<u>საფუძველი:</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3

დანართი:

ზოგადი დებულებები:

- სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას

- შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) უნდა განესაზღვროს ხვედრითი წილი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში) საბოლოო შეფასებაში.

- დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის ბრძანება №3-ის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

- შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შფასების კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

- შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.

- დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ან სხვა სამეცნიერო პროექტი ან ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად დასკვნითი შეფასებით. შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისათვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

ტერმინთა განმარტებები:

- **შეფასების ფორმები** - შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;
- **შეფასების კომპონენტები** - შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და კომპეტენციის შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული.თეორიული სამუშაო და სხვა.)
- **შეფასების მეთოდები** - სასწავლო კურსით/კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებლი საშუალებები (ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა და სხვა; სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, ქეისის განხილვა..ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა.)
- **შეფასების კრიტერიუმები** - შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.